

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წწ საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2019 -2022 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;
- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ✓ განათლება;
- ✓ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები 2019-2022 წლებში

დასახელება	კოდი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგ ნოზი	2020 წლის პროგ ნოზი	2021 წლის პროგ ნოზი	2022 წლის პროგნ ოზი
შემოსულობები		10214.9	12411,4	12606,3	6187,6	6667,6	7141,4	7685,8
შემოსავლები	1	8640,1	10771,8	9178,6	6150,1	6667,6	7141,4	7685,8
არაფინანსური აქტივების კლება	31	201.0	499.8	425.3	37.5	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება	32	1373,9	1589,6	3002.4	0	0	0	0
შემოსავლები	1	8640,1	10771,8	9178,6	6150,1	6667,6	7141,4	7685,8
გადასახადები	11	746,2	875,9	790.0	5471,1	5974,6	6448,4	7685,8
საშემოსავლო გადასახადი		397,6	484,7	440.0	0	0	0	0
ქონების გადასახადი	113	348,6	391,2	350.0	400.0	400.0	400.0	4000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	361,4	267,3	300.0	260.0	260.0	260.0	260.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	4,4	4,1	0	5.0	5.0	5.0	5.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	113113 1	4,4	0	0	0	0	0	0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	113113 2	0	0	0	0	0	0	0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	75.0	74,6	30.0	80.0	80.0	80.0	80.0
ფიზიკურ პირებიდან	113114 1	47,8	54.9	30.0	55.0	55.0	55.0	55.0
იურიდიულ პირებიდან	113114 2	27,2	26.9	0	25.0	25.0	25.0	25.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	-92,2	45.2	20.0	55.0	55.0	55.0	55.0
ფიზიკურ პირებიდან	113115 1	6,4	18.2	0	15.0	15.0	15.0	150
იურიდიულ პირებიდან	113115 2	-98,6	26.9	20.0	40.0	40.0	40.0	40.0
დღგ		0	0	0	5071,1	5574,6	6048,4	6592,8
გრანტები	13	7187,3	9327.3	7691.6	128.0	128.0	128.0	128.0

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	7187,3	9327.3	7691.6	128.0	128.0	128.0	128.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	3347,7	3697.7	3744,9	128.0	128.0	128.0	128.0
გათანაბრებითი ტრანსფერი		3219,7	3319,7	3616,9	0	0	0	0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1331111	128.0	128.0	128.0	128.0	128.0	128.0	128.0
სპეციალური ტრანსფერი	1331113	0	250	0	0	0	0	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	3839,6	5629,6	3946,7	0	0	0	0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		3337,9	5629,6	3946,7	0	0	0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		501,7	0	0	0	0	0	0
სხვა შემოსავლები	14	706,6	568,6	697,1	551.0	565.0	565.0	565.0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	368,7	335,9	330.0	380.0	400.0	405.0	40.05
პროცენტები	1411	62,4	20,4	10.0	20.0	30.0	30.0	30.0
რენტა	1415	306,3	315,3	320.0	360.0	370.0	375.0	375.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	303,7	311,3	329,7	340.0	350.0	355.0	355.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	2,6	4.0	20.0	20.0	20.0	20.0	20.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	115	91,9	45.0	106.0	105.0	120.0	120.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	90,6	70,3	40.0	81.0	85.0	95.0	95.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	53,9	11,6	10.0	11.0	15.0	15.0	1.05
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	36,7	58,3	30.0	70.0	70.0	80.0	80.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	24,4	21,6	5.0	25.0	20.0	25.0	25.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	24,4	20,9	5.0	25.0	20.0	25.0	25.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	115,6	97,7	100.0	65.0	60.	40.0	40.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	2,1	0	0	0	0	0	0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	105,2	43,1	222,1	0	0	0	0
არაფინანსური აქტივების კლება	31	201	50	425,3	37,5	0	0	0
ძირითადი აქტივები	311	201	50	425,3	37,5	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება	32	1373,9	1589,6	3002,4	0	0	0	0

საშინაო	321	1373,9	1589,6	3002,4	0	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	3215	1373,9	0	0	0	0	0	0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216	0	1589,6	3002,4	0	0	0	0
სხვა დებიტორული დავალიანებები	3218	0	0	0	0	0	0	0

2016-2018 წლების მოკლე მიმოხილვა

2016 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 10215.0 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 746,2 ათასი ლარი, გრანტები 7187,3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 706,6 ათასი, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი-201 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი 1373,9 ათასი ლარი.

2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან და საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსდა საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია სოფლებში: პირველი ოჩა, მეორე ოჩა, ხანი, დიმი და ფერსათი, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია. რეაბილიტირებული იქნება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხებით რეაბილიტირებული იქნება სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტები. სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში აუშენდათ საცხოვრებელი სახლები და გამოეცვალათ საცხოვრებელი სახლის სახურავები.

2017 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 12411,4 ათასი ლარი. მათ შორის: გადასახადები - 875,9 ათასი ლარი, გრანტები - 9327,3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 568,6 ათასი, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი-50 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი - 1589,6 ათასი ლარი.

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან და საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსდა; სოფ.პირველ და მეორე ოჩის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია, სოფ.ფერსათისა და წითელხევში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, წყლის სათაო ნაგებობის, წყალმომარაგების რეზერვუარის და მაგისტრალური ქსელის მოწყობა; სოფელ პირველ ოჩაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ქ.ბაღდათში სალხინო ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფ.დიმში მამუკაშვილების სესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია; ბაღდათის -საკრაულას ადგ. მნიშვნელობის ს/გზის საკრაულა-წიფის მონაკვეთის რეაბილიტაცია; სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და

გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბალდათის რაიონული ცენტრის მშენებლობა; ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა; ქ. ბალდათში ე.თოდაძის ქუჩის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია; სოფ. დიმში ადამაძეების და გიორგიძეების უბანში მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა; . ბალდათში ბალდათის ქუჩის გზის სავალი ნაწილის, გვერდულის და აგრობაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

2018 წლის გეგმით განსაზღვრული შემოსულობების მაჩვენებელი 12606,3 ათასი ლარია. მათ შორის:

- ა) გადასახადები - 790 ათასი ლარი;
- ბ) გრანტები - 7691,6 ათასი ლარი;
- გ) სხვა შემოსავლები - 697,1 ათასი ლარი;
- დ) არაფინანსური აქტივების კლება - 425,3 ათასი ლარი;
- ე) ფინანსური აქტივების კლება - 3002,4 ათასი ლარი

რგგ- დან გამოყოფილი თანხით დაფინანსდება :

პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ათასი ლარი)
ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა	724,6
სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია	1019,3
სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია	348,2
ბალდათში სალხინოს ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	332,2
ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები	408,0
ბალდათი-საკრაულას ადგ. მნიშვნელობის ს/გზის რეაბილიტაცია	797
სოფ. დიმში ნერგაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	74,0

სოფ. ზედა დიშში ე.წ წყაროს უბანში საავთომობილო გზის რეაბილიტაცია	243,3
სულ	3946,7

ხარჯი და პროგნოზი საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდების მიხედვით

ორგ. კოდი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
	ბაღდათის მუნიციპალიტეტი სულ	8645,3	7312,8	12606,3	6187,6	6667,6	7141,4	7685,8
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2588,0	2350,2	2137,4	2144,6	2166,6	2149,5	2165,5
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	68,1	76,9	80,7	79,0	79,0	79,0	79,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3543,8	4493,6	8088,6	1605,0	1822,0	2115,9	2387,3
04 00	განათლება	772,5	815,2	546,6	983,0	1010,0	1050,0	1100,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1208,6	938	1160,6	902,0	1030,0	1105,0	1190,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	464,6	726	592,4	474,0	562,0	642,0	764,0

ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი

შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავარი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, რომელიც განხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით: 1. ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; 2. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; 3. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 4. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 5. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 6. მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

1.1 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

სასესხო ვალდებულებების დაფარვის პროგრამა

მიზანი

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

აღწერა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული სესხების მომსახურება.

1.1 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების პროგრამა

მიზანი

მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა.

აღწერა

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმატი და ფინანსური ანგარიშგება საჭიროებას დახვეწას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას; მუნიციპალიტეტში არ არის აქტივების აღრიცხვის ერთიანი სისტემა, საბიუჯეტო პროცესში დაბალია მოსახლეობის ჩართულობის დონე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის განხორციელდება თანამშრომლების გადამზადება, მოსახლეობაში გამოკითხვების ჩატარება, პრიორიტეტების განსაზღვრა, ბიუჯეტის შედეგზე ორიენტირულობის მაღალი მაჩვენებლით დაგეგმვა-შესრულება, ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების, პერიოდული ინვენტარიზაცია, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტებით საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის ამაღლება-შეფასება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახვა დარგების განვითარებას. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა და ა.შ.

ორგ. კოდი	ბალდათის მუნიციპალიტეტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3543,8	4493,6	8088,6	1605.0	1820.0	2115,9	2387,3
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლაშენახვა	1702,6	2902,1	5806,1	324.0	453.0	608.0	721.0
03 01 01	ტროტუარების მოწყობა მოვლა პატრონობა	0	0	0	24.0	27.0	30.0	32.0
03 01 02	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია	1702,6	2902,1	5806,1	300.0	426.0	578.0	689.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1344,3 1	1470,6	1868,8	1187.0	1212.0	1284.0	1375.0
03 02 01	ა(ა)იკ ბალდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	673,2	627,1	710.0	870.0	850.0	900.0	950
03 02 02	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	425,9	247,1	851.0	20.0	32.0	34.0	35.0
03 02 03	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0	464,9	120.0	17.0	20.0	25.0	30.0
03 02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	157,9	131,5	143.0	140.0	145.0	150.0	160.0
03 02 05	მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია	77,3	0	35.0	75.0	90.0	95.0	100.0

03 02 06	წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	10.0	0	9,8	65.0	75.0	80.0	100.0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	4,5	3,2	5	24	55	73,9	91,3
03 03 01	ქალაქის გამწვანება	0	0	0	7.0	20.0	33,9	40.0
03 03 02	საკადასტრო რუქის დამზადება	4,5	3,2	5.0	10.0	15.0	20.0	30.0
03 03 03	შადრევნების ექსპლუატაცია	0	0	0	7.0	20.0	20.0	21,3
03 03 04	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	0	0	0	0	0	0	0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	443,7	71,4	0,7	0	0	0	0
03 05	შპს აგროჰოლდინგი	48,7	14,8	0	0	0	0	0
03 06	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	0	31,4	408.0	70.0	100.0	150.0	200.0

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც ხელს შეუწყობს ქუჩების ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, გაგრძელდება მუშაობა ძირითადი და შიდა სასოფლო გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდასასოფლო მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რითაც მნიშვნელოვნად მოწესრიგდება მისასვლელი რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- ✓ მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი საავტომობილო გზების მახასიათებლები;
- ✓ მოწესრიგებული ქუჩების და შიდასასოფლო გზების ფართობი.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ახლის მშენებლობა, თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ არსებული ინფრასტრუქტურის გამართულად ფუნქციონირება

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართულად ფუნქციონირება;
- ✓ თოვლცვენის დროს უსაფრთხოდ გადაადგილება

□

2.3 სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების წესრიგში მოყვანა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა;
- ✓ დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- გაწმენდილი და გასუფთავებული სანიაღვრე მილების, კოლექტორების და წვიმმიმღები ქების რაოდენობა.

2.4. გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია

პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება. გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ნათურებით ჩანაცვლება. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა;

- ✓ განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება;

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა.

2.5. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის მიზანია მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; შადრევნების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (ექსპლოატაცია); სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.

მოსალოდნელი შედეგები

- ✓ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ✓ მოსახლეობისათვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა.

შეფასების ინდიკატორები

- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.
- მოსახლეობისათვის დასვენების და თავშეყრის ადგილების ზრდა

2.6. წყლის სისტემების განვითარება

მუნიციპალიტეტში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გაუმართავი წყალმომარაგების სისტემა, ვერ ხდება მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ამ პრობლემის აღმოფხვრა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის მიწოდების ხელშეწყობა, დაფინანსდება არსებული ქსელის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, ქსელის გაფართოება, საცავების გაწმენდა და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები

- ✓ მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლით

შეფასების ინდიკატორები

- წყლის სისტემის ქსელის მოცულობა
- აბონენტთა რაოდენობა
- სასმელი წყლის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა მიზნად ისახავს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორიცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლა-პატრონობა, გარემოს და სხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური, ხოლო შემსრულებელია ა(ა)იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება

3.1 დასუფთავება და ნარჩენების გატანა

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეპიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, დამატებითი ურნებისა დადგმა.

მოსალოდნელი შედეგები

- ✓ დასუფთავებული ტერიტორია
- ✓ ქალაქში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთა
- ✓ ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა

შეფასების ინდიკატორები

- ეპიდემიური დაავადებების გავრცელების სიხშირე
- დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი
- გატანილი ნარჩენების მოცულობა
- გზებზე უსაფრთხო გადაადგილება

3.2 ქალაქის გამწვანების ღონისძიებები

პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი. განხორციელდება ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობა; სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები

- ✓ რეკრეაციული ზონების შექმნა
- ✓ ეკოლოგიის გაუმჯობესება
- ✓ ქალაქის იერსახის გალამაზება

შეფასების ინდიკატორები

- კეთილმოწყობილი სკვერების რაოდენობა
- მწვანე ნარგავების რაოდენობა

4. განათლება

სკოლამდელი და სკოლის გარეშე განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი და სკოლის გარეშე განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა გულისხმობს: სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, მოქმედი სტანდარტების შესაბამის სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიას, მოქმედი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო;
- ✓ სკოლისთვის მზაობა;
- ✓ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ სკოლისთვის მზად მყოფი აღსაზრდელების რაოდენობა

ორგ. კოდი		2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	772,5	815,2	546,6	983.0	1010.0	1050.0	1100.0
04 01	ა(ა)იპ ბაღდათის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება საბავშვო ბაგა ბაღი	772,5	815,2	139,8	0	0	0	

								0
04 04					983.0	1010.0	1050.0	1100.0
05 06				424,8	0	0	0	0

5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული, სპორტული და რელიგიური დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

ორგ. კოდი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1275,6	938.0	1160,6	902.0	1030.0	1105.0	1190.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	503,9	187.0	210.0	340.0	340.0	340.0	380.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	103,1	6,7	10.0	12.0	20.0	25.0	30.0
05 01 02	ა(ა)იპ ბაღდათის სპორტული და მოზარდთა აქტივობის ცენტრი	197,2	181,3	219,5	280.0	320.0	330.0	350.0
05 01 03	საფეხბურთო კლუბი „საირმე“	203,6	0	0	0	0	0	0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	471,3	683,2	884,8	555.0	625.0	680.0	735.0
05 02 05	ა(ა)იპ ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი	264,7	252,9	424,8	0	0	0	0
05 02 06	ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი	448,2	430,3	460.0	540.0	600.0	650.0	700.0

05 02 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	0	0	0	15.0	25.0	30.0	35.0
05 04	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	19,8	35,7	16,3	15	25	30	35
05 05	ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა	39.0	31.0	30.0	40.0	40.0	40.0	40.0

5.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სპორტული ღონისძიებები;
- სპორტული სკოლა,
- სპორტსმენთა სამივლინებო ხარჯები

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მედალოსანი სპორტსმენების რაოდენობის ზრდა
- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა
- სპორტით დაკავებული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა

5.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნების მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- ხელოვნების და კულტურის ცენტრი სადაც ფუნქციონირებს თეატრალური დასი, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები,
- მუსიკალური და ხელოვნების სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობაში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და პოპულარიზაცია;
- მოსახლეობის ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურულ ღონისძიებებში მონაწილე მოსახლეობის რაოდენობის ზრდა;
- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;

- რეაბილიტირებული კულტურული დაწესებულებები;

5.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში;
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მოტივირება უკეთესი მომავლისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალგაზრდული ღონისძიებათა რაოდენობის ზრდა

5.4. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- რელიგიური საგანმანათლებლო ორგანიზაციის ხელშეწყობა;
- ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიების ნაწილობრივი რეაბილიტაცია

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის კმაყოფილება;

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ორგ. კოდი	ბალდათის მუნიციპალიტეტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	443,4	679.0	592,4	474.0	562.0	642.0	764.0
06 01	ა(ა)იკ ბალდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	47,9	47.0	47.0	47.0	47.0	47.0	47.0
06 02	სოციალური პროგრამები	416,7	679	545,4	427.0	515.0	595.0	717.0
06 02 01	სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე სამედიცინო დახმარება	140,1	131,8	153,5	145.0	145.0	160.0	170.0
06 02 02	დაკრძალვის ხარჯები	1,3	0,5	2.0	2.0	3.0	4.0	5.0
06 02 03	საქართველოს ტერიტორიული მთლიან ობისათვის დადუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები	3.0	2,8	3.0	5.0	10.0	15.0	20.0
06 02 04	უფასო სასადილოს დაფინანსება	45.0	44,8	45.0	50.0	55.0	60.0	65.0
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	28.0	36,9	40.0	30.0	45.0	60.0	70.0
06 02 06	სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი	76,9	353,1	172,4	70.0	70.0	70.0	70.0
06 02 07	სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის	117,4	61,6	55,4	35.0	40.0	45.0	50.0
06 02 08	სადღესასწაულო დახმარების პროგრამა (9 მაისი)	5.0	5.0	10.0	10.0	15.0	20.0	25.0

06 02 09	შპმ პირთა დახმარება	0	20.0	20.0	22.0	30.0	40.0	60.0
06 02 10	ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	0	1,8	2.0	3.0	5.0	6.0	8.0
06 02 11	დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება	0	0,5	2.0	2.0	3.0	5.0	7.0
06 02 12	დიალეზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	0	18,4	32,6	38.0	40.0	40.0	50.0
06 02 13	ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახების დახმარება	0	1,8	7,5	5.0	10.0	15.0	50.0
06 02 14	მარტოხელა მშობლის დახმარება	0	0	0	5.0	10.0	15.0	20.0
06 02 015	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	0	0	0	10.0	20.0	25.0	30.0
06 02 16	მარტოხელა დევნილ მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	0	0	0	3.0	5.0	5.0	5.0
06 02 17	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა	0	0	0	5.0	5.0	5.0	5.0
06 02 18	ძალადობის მსხვერპლთა დაცვა	0	0	0	2.0	4.0	5.0	7.0

6.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- 6.1.1 არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- 6.1.2 დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

- 6.1.3 მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- 6.1.4 სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- 6.1.5 ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- 6.1.6 მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროფილაქტიკურ ღონისძიებათა რაოდენობის ზრდა
- ინფექციური და სხვადასხვა გადამდები დაავადებების რაოდენობის შემცირება

6.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.

6.2.1. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0–დან 65 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა მოქალაქეების მედიკამენტებით დახმარება, თითოეულ ბენეფიციარს ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 100 ლარისა
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0–დან 65 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა მოქალაქეების მკურნალობისა და საოპერაციო თანხებით დახმარება;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის ნაწილობრივი მოგვარება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დახმარებული ადამიანების რაოდენობის ზრდა

6.2.2. სარიტუალო მომსახურება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში);

6.2.3 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეზრძოლთა ოჯახების დახმარება

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომართვიანობის მაქსიმალურად დაკმაყოფილება

6.2.4. უფასო სასადილოს დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 50 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა;
- სადღესასწაულო დღეებში სადღესასწაულო სუფრის გაკეთება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- უმწეოს მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის კვების პირობების გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა;
- კვების ხარისხი.

6.2.5. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია

- მეორე და მეტი შვილის შეძენისათვის ერთჯერადი ფულადი ხმარების გაწევა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ✓ სოციალური მდგომარეობის
ნაწილობრივ გაუმჯობესება

შედეგების შეფასების

ინდიკატორები:

- დახმარებულთა რაოდენობის ზრდა

6.2.6. სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია

- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფა. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- დაზარალებული ოჯახებისათვის მიღებული ზარალის შემცირება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დაზარალებული ოჯახებისათვის გაწეული დახმარების ზრდა
- დახმარებულთა რაოდენობის ზრდა

6.2.7. სადღესასწაულო დახმარების პროგრამა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული პირებისათვის სასაჩუქრე პაკეტების შეძენა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ მსოფლიო ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული პირების კმაყოფილება

შედეგების შეფასების ინდიკატორი

- მსოფლიო ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული პირების კმაყოფილება
- სასაჩუქრე პაკეტების მრავალფეროვნება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შშმ პირთა ფინანსური და მატერიალური დახმარება

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ შშმ პირთა ადაპტაცია
- ✓ სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- აქტივობების რაოდენობა;
- შშმ პირთა კმაყოფილება.

6.2.9 ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება 2 ათასი ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეებზე ფულადი დახმარებების გაცემა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორი

- ფულადი დახმარების მოცულობის ზრდა

6.2.10 დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეებზე ერთჯერად ფულადი დახმარებების გაცემა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ დღეგრძელ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორი

- ფულადი დახმარების მოცულობის ზრდა

6.2.11 დიალევით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დიალევით მოსარგებლე მოქალაქეთა სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების დაფარვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ დიალევით მოსარგებლე მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორი

- მომართვიანობის მაქსიმალურად დაკმაყოფილება

6.2.12 ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახების ფინანსური და მატერიალური დახმარებების გაცემა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მომართვიანობის მაქსიმალურად დაკმაყოფილება
- ფულადი დახმარების მოცულობის ზრდა

6.2.13 მარტოხელა მშობლის დახმარება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობელთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ მარტოხელა მშობელთა სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მომართვიანობის მაქსიმალურად დაკმაყოფილება
- ფულადი დახმარების მოცულობის ზრდა

6.2.14 მარტოხელა და დევნილ მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები

ქვეპროგრამა მოიცავს მარტოხელა დევნილ მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯების დაფარვას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი

- მომართვიანობის მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

6.2.15 დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა თვალისა და ხერხემლის დაავადებათა გამოვლენის და თავიდან არიდების მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ თვალისა და ხერხემლის დაავადებათა გამოვლენა/თავიდან არიდება.

შეფასების ინდიკატორები

- გამოკვლეულ მოსწავლეთა რაოდენობა;

6.2.16 ძალადობის მსხვერპლთა დაცვა

ქვეპროგრამა მოიცავს როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას აგრეთვე გარკვეული ღონისძიებების გატარებას მოსახლეობის ინფორმირებულობის კუთხით ოჯახში ძალადობის შესახებ .

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

- ✓ ძალადობის მსხვერპლთა მორალური ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება.

შედეგების შეფასების ინდიკატორების

- მომართვიანობის მაქსიმალურად დაკმაყოფილება;
- ფულადი დახმარების მოცულობა;
- საინფორმაციო შეხვედრების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა.